



საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აცხადებს კონკურსს ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის მოვალეობის შემსრულებლის ვაკანსიაზე

იურისტის მოვალეობის შემსრულებლის სრულ სამტატო ერთეულზე კანდიდატის შერჩევა მოხდება საკონკურსო წესით, საკონკურსო კომისიის მიერ, რომელიც ჩატარდება სამ ეტაპად:

1. CV-ის და სამოტივაციო წერილის საფუძველზე;
2. კაზუსის წერა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის თემაზე;
3. გასაუბრება.

ძირითადი მოვალეობები:

- მომხმარებელთა კონსულტაცია დისციპლინური წარმოების პროცედურის შესახებ;
- ეთიკის კომისიაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა/შემდგომი საბუთბრუნვის უზრუნველყოფა;
- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებათა დამუშავება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ გვერდზე ატვირთვა;
- ეთიკის კომისიის დისციპლინური საქმისწარმოების ორგანიზება;
- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების პროექტებზე მუშაობა;
- ეთიკის კომისიის სფეროში არსებული საერთაშორისო და შიდა პრაქტიკის მოძიება და დამუშავება.

კონკურსის მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სამუშაო გამოცდილება პროფესიით - სულ მცირე 1 (ერთი) წელი;
- უცხო ენის (ინგლისური) სრულყოფილი ცოდნა;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
- ეთიკის კომისიის საქმიანობის მიმართ ინტერესი;
- ანალიტიკური აზროვნება;
- იურიდიული კვლევის და წერის უნარ-ჩვევები;
- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
- სასურველია ჩაბარებული ჰქონდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

კონკურსში მონაწილე პირი უნდა ფლობდეს შემდეგ ნორმატიულ მასალას:

- „საქართველოს კონსტიტუცია“
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი
- ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი
- „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირებმა, 2021 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით დაზიპული სახით ელ. ფოსტაზე - hr@gba.ge უნდა გამოაგზავნონ შემდეგი საბუთები:

- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV ფოტოსურათით);
- სამოტივაციო წერილი.

ხელფასის ოდენობა: 1500 (ათას ხუთასი) ლარი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. შრომითი ხელშეკრულების ვადა პირველ ეტაპზე 6 თვე. სამუშაო დრო: ორშაბათი - პარასკევი 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე.